

ქ.თბილისი

2021 წლის 12 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 12 მარტს, სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ რეჟიმში სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 8 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, ლაშა თვარტყილაძე, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია, აკაკი კერესელიძე, ლაშა მაჭავარიანი.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის დ. ფულარიას ოქმი და მოწოდებული ინფორმაცია, მატჩის მთავარი მსაჯის ბ.აქუბარდიას წითელი ბარათის ოქმები და ვიდეომასალა, ამა წლის 5 მარტს, პირველი ლიგის მატჩზე, ქუთაისის „ზაგრატი“-სა და ჭიათურის „იმერეთი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

სადისციპლინო კომისიამ ასევე გაითვალისწინა კლუბ ქუთაისის „ზაგრატი“-ს წერილი, რომელშიც კლუბი გამოთქვამს წუხილს, გმობს მომხდარ სადისციპლინო დარღვევას და დაეხმარა სადისციპლინო კომისიას ონციდენტში მონაწილე საკუთარი მოთამაშის იდენტიფიცირებაში.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. ქუთაისის „ზაგრატი“-ს მორაგბე ოთარ ქემოკლიძე - კონფლიქტის პროვოცირება.
2. ქუთაისის „ზაგრატი“-ს მორაგბე დინო არაბიძე - სათამაშო მოედნის გარედან წარმოქმნილ კონფლიქტში ჩართვა.
3. ჭიათურის „იმერეთი“-ს მორაგბე თეიმურაზ ვაშაძე - კონფლიქტის პროვოცირება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7, 2.2.9 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ქუთაისის „ზაგრატი“-ს მორაგბე ოთარ ქემოკლიძე დისკვალიფიცირებული იქნას 1(ერთი) სათამაშო კვირით.
2. ქუთაისის „ზაგრატი“-ს მორაგბე დინო არაბიძე დისკვალიფიცირებული იქნას 4 (ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 100(ასი) ლარით.
3. ჭიათურის „იმერეთი“-ს მორაგბე თეიმურაზ ვაშაძე დისკვალიფიცირებული იქნას 1(ერთი) სათამაშო კვირით.
4. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 11 აპრილამდე.
5. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ქუთაისის „ზაგრატი“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

